თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 2 მაისი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282312190, 01.05.2023 წ.).

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282311478 , 24.04.2023).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 263.0 ათასი ლარით და შეადგენს 27820.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 396.7 ათასი ლარით. გრანტი შემცირდა 46,7 ათასი ლარით და სხვა შემოსავლები (რენტა) შემცირდა 350.0 ათასი ლარით.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 650.7 ათასი ლარით. (გრანტი გაიზარდა 550.7 ათასი ლარით (რგფ პროექტი 55.7 ათასი ლარით (ახალთერჯოლის წყალი) და ფინანსური დახმარება 495.0 ათასი ლარით) და სხვა შემოსავლები (საგზაო ჯარიმები გაიზარდა 109.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა სულ 51.7 ათასი ლარით. გზების მშენებლობა რეაბილიტაციის პროგრამა შემცირდა 31.9 ათასი ლარით. წყალმომარაგების პროგრამა შემცირდა 14.8 ათასი ლარით და სოციალური დაცვა შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 314,7 ათასი ლარით. გზების მშენებლობა რეაბილიტაციის პროგრამა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. წყალმომარაგების პროგრამა გაიზარდა 89.7 ათასი ლარით. საბინაო კომუნალური მეურნეობის პროგრამა გაიზარდა 50.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 70.0 ათასი ლარით (მესამე ბაღი). საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება გაიზარდა 80.0 ათასი ლარით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, მანუჩარ ფანჩულიძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში .

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი